



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია  
 GEORGIA  
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.34221598

თარიღი:08/06/2022

**მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი, **დიმიტრი ზურაბიშვილი;**

**კომისიის წევრები:**

ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - **გივი გიუტაშვილი;**

გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **თამაზ ფოლოდაშვილი;**

დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გიორგი კვახაძე;**

ე) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **გიორგი ხვისტიანი;**

ვ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ნუგზარ ხუხუნაიშვილი;**

ზ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **რევაზ ელოშვილი;**

თ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **თეიმურაზ ჯერვალიძე;**

ი) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **მერაბ თუხარელი;**

კ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ილია ციციშვილი**;

ლ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **გიორგი პაპაშვილი**;

მ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, **ანა მამაგვიშვილი** - კომისიის მდივანი.

ნ) ადმინისტრაციული ერთეულების/ მაჟორიტარული ოლქების მიხედვით - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

2. კომისია უზრუნველყოფს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენას, დათვლას, შესაბამისი ღონისძიებების გატარებას და დეფექტური აქტების შედგენას.

3. კომისია უფლებამოსილია, ამ ბრძანებით განსაზღვრული მიზნებისთვის მიმართოს სხვადასხვა უწყებას/ დაწესებულებას.

4. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით.

5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

